განმარტებით ბარათი:

მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გ. ბრწყინვალეს ქ. №24, 1 სართული

საკადასტრო კოდი: 01.10.06.014.057 01.02.001

პროექტი: „სარეკლამო ბანერის მოწყობა / გაუქმება არსებულის

მესაკუთრე: შპს მშენებელი, ID: 404899801

მეიჯარე: სალომე ცისკარავა

მინდობილი პირი: ლევან ცისკარავა, პირადი №: 35001115881

პროექტის აღწერა: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს ქუჩა №24, 1 სართული, იგეგმება კომერციულ ობიექტის ფასადზე ვიტრაჟებზე სარეკლამო ბანერის განთავსება არეალში 4,10 * 1,10 მ.

აღნიშნული ფასადი გაბარიტებია (ვიტრაჟები): 4.10 X 3.50 მ. (14.35 მ²)

უშუალოდ სარეკლამო ბანერის გაბარიტებია: **3.20 X 0.70 მ. (2.24 მ²)**

ბანერი: "სენსე SENSE" - Dental Clinic 511 11 33 39

აქედან:

"სენდე - SENSE" გაბარიტებია: **სიმაღლე – 0.30 მ. სიგანე – 0.15 მ.**

"Dental Clinic 511 11 33 39" გაბარიტებია: **სიმაღლე – 0.15 მ. სიგანე – 0.10 მ.**

პ.ს კომერციული ობიექტის ფასადი (ასევე როგორც სრული შენობის ფასადი) შეფერილია კრემისფერ ტონში, ჩვენი მოთხოვნა დამატებით მდგომარეობს შემდეგში: საპრეოქტო არეალი, **ფასადის ერთი პირი საღებავის წასმა, არსებულ ფერში, მსუბუქი კრემისფერი (9001).**

დარჩენილ სამ ვიტრაჟზე არსებული "სტიკერები" გაუქმდება.

შპს „კლასიკური არქიტექტურა"-ს დირექტორი: ნ. ცაგურია

ავტორი: ც. ცაგურია



პროექტის ინფორმაცია

ობიექტის მისამართი:

- მისამართი: ქ. თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს №24, I სართული
- საკადასტრო კოდი: 01.10.06.014.057

დაკვეთა / პროექტი:

- დაკვეთა: AR1 | 72
- პროექტი: სარეკლამო ბანერის მოწყობა

სართულიანობა | ფართი

- სართული: I
- საერთო ფართი: 235,50 მ²

ობიექტის ფუნქცია:

- ფუნქცია: კომერციული ობიექტი

კონსტრუქციული ტიპი:

- მზიდი კონსტრუქცია რკინბეტონი კოლონები
- დეთონის კონსტრუქცია - დეთონის შველერები
- გამყვირვალე მინა

სამუშაოე დაფა:

- დამუშავებულია - AutoCAD (arch)
- დამუშავებულია - AutoCAD (Const)

საკონსტაქტო ინფორმაცია

მფლობელი-დამკვეთი:

- მისაუთრე: შპს მშენებელი. ს.კ 404899801
- მეიჯარე: სალომე ცისკარავა
- მინდობილი პირი: ლევან ცისკარავა, პ.№ 35001115881
- *Email:* *classicarchitectt@gmail.com*

კონტრაქტორი კომპანია:

- შ.პ.ს "კლასიკური არქიტექტურა"
- LLC "CLASSIC ARCHITECTUR"
- მისამართი: მესხი'შვილის №16 / 47
- დირექტორი P/N: ნუგზარ ცაბურია / 35001017184
- ტელეფონი: 593 99 88 73 / 577 54 34 95
- საიდენტიფიკაციო კოდი: 416 388 554
- *Email:* *classicarchitectt@gmail.com*

შემსრულებელი სპეციალისტი - შპს კლასიკური არქიტექტურა

- პროექტის ავტორი: გ. ცაბურია - P/N 35001106736
- მისამართი: ქ. რუსთაველი, შ. შარტავას ბაღზ. №12-88
- ტელეფონი: 511 15 01 09
- *Email:* classicarchitectt@gmail.com

შემსრულებელი ინჟ - ექსპერტი

ამ ეტაპზე არ საჭიროებს --- ---- ---

ორთო-ფოტო



არქიტექტურა | ინტერიერი | კონსტრუქცია | დიზაინი

საიდენტიფიკაციო ქ. 416 388 554

კლასიკური არქიტექტურა

მისამართი: ქ. რუსთაველი, მესხი'შვილის ქ. №16/47
დირექტორი: ნუგზარ ცაბურია
ტელეფონი: 593 99 88 73
Email: *classicarchitectt@gmail.com*

დამკვეთი | მესაუთრე

მესაუთრე: შპს მშენებელი, ს/კ. 404899801
მეიჯარე: სალომე ცისკარავა
მინდობილი პირი: ლევან ცისკარავა, პ.№ 35001115881

საპროექტო ობიექტი

მისამართი: ქ. თბილისი, გ. ბრწყინვალეს ქ. №24
საკადასტრო კოდი: 01.10.06.014.057 01.02.001
საერთო ფართი: 235,50 მ²

პროექტი

სარეკლამო ბანერის მოწყობა

სარეკლამო ბანერი

სერია

არქიტექტურული ნაწილი

პროექტის ავტორი

არქიტექტორი: ცოტნე ცაბურია
პირადი №: 35001106736
ტელეფონი: 511 15 01 09 / 577 54 34 91

ხელმოწერა | ბეჭედი

დირექტორი: ნ. ცაბურია
არქიტექტორი: ც. ცაბურია

გვერდის დასახელება

ინფორმაციული

მომზადების თარიღი
11/06/2025

პროექტის ვერსია
AR1 | 72

ფორმატი	A4
გვერდი | შვრცელი	მასშტაბი
02 | 06	-------

საბანერო არეალი:

გაუქმდება არსებული სტიკერები





არსებული საღებავის განახლება

არქიტექტურა | ინტერიერი | კონსტრუქცია | გრაფიკა

საიდენტიფიკაციო კ. 416 388 554

კლასიკური არქიტექტურა

მისამართი: ქ. რუსთავი, მესხიშვილის ქ. №16/47
დირექტორი: ნუგზარ ცაგურია
ტელეფონი: 593 99 88 73
Email: *classicarchitectt@gmail.com*

დამკვეთი | მესაკუთრე

მესაკუთრე: შპს მშენებელი, ID. 404899801
მეიჯარე: სალომე ცისკარავა
მინდ.პირი: ლევან ცისკარავა, პ.ნ 35001115881

საპროექტო ობიექტი

მისამართი: ქ. თბილისი, გ. ბრწყინვალეს ქ. №24
საკადასტრო კოდი: 01.10.06.014.057 01.02.001
საერთო ფართი: 235,50 $მ^2$

პროექტი

სარეკლამო ბანერის მოწყობა

სარეკლამო ბანერი

სერია

არქიტექტურული ნაწილი

პროექტის ავტორი

არქიტექტორი: ცოტნე ცაგურია
პირადი №: 35001106736
ტელეფონი: 511 15 01 09 / 577 54 34 91

ხელმოწერა | ბეჭედი

დირექტორი:

არქიტექტორი:

გვერდის დასახელება

არსებული ფოტომასალა

მომზადების თარიღი
11/06/2025

პროექტის ვერსია
AR1 | 72

ფორმატი A4

გვერდი | ფურცელი	მასშტაბი
03 | 06	



„სენსე - SENSE“

შრიფტის გაბარიტი:

- სიმაღლე - 0.30 მ.
- სიგანე - 0.15 მ.

„Dental Clinic - 511 11 33 39“

შრიფტის გაბარიტი:

- სიმაღლე - 0.15 მ.
- სიგანე - 0.10 მ.

სარეკლამო ბანერი

საღებავის განახლება ფასადზე - კრემისფერი

პ.ს. სარეკლამო არეალის გაბარიტები:

3.20 X 0.70 მ.

ზომები მოცემულია მილიმეტრებში

არქიტექტურა | ინტერიერი | კონსტრუქცია | გრაფიკა

საიდენტიფიკაციო კ. 416 388 554

კლასიკური არქიტექტურა	მისამართი: ქ. რუსთავი, მესხიშვილის ქ. №16/47 დირექტორი: ნუგზარ ცაგურია ტელეფონი: 593 99 88 73 **Email:** *classicarchitectt@gmail.com*
დამკვეთი | მესაკუთრე	მესაკუთრე: შპს მშენებელი, ი/ნ. 404899801 მეიჯარე: სალომე ცისკარავა მინდ.პირი: ლევან ცისკარავა, პ.ნ 35001115881
საპროექტო ობიექტი	მისამართი: ქ. თბილისი, გ. ბრწყინვალეს ქ. №24 საკადასტრო კოდი: 01.10.06.014.057 01.02.001 საერთო ფართი: 235,50 მ²
პროექტი	სარეკლამო ბანერის მოწყობა სარეკლამო ბანერი
სერია	არქიტექტურული ნაწილი
პროექტის ავტორი	არქიტექტორი: ცოტნე ცაგურია პირადი №: 35001106736 ტელეფონი: 511 15 01 09 / 577 54 34 91
ხელმოწერა | ბეჭედი	დირექტორი: ნ. ცაგურია არქიტექტორი: ც. ცაგურია "CLASSIC ARCHITECT" LTD 416388554
გვერდის დასახელება	ფოტომონტაჟი
მომზადების თარიღი	11/06/2025
პროექტის ვერსია	AR1 | 72
ფორმატი	A4
გვერდი | ფურცელი	04 | 06
მასშტაბი	------

ქვეიჯარის ხელშეკრულება

შპს "ამიკუს"-სა

და

შპს „დენტისენს“ - ს

შორის

ქვეიჯარის არსებითი პირობები

ქვემეიჯარე **ქვემოიჯარე:**	შპს ამიკუსი შპს დენტისენს
საიჯარო ქონების საერთო ფართი:	230 კვადრატული მეტრი
იჯარის ვადა:	2 წელი ხელშეკრულების დადების დროიდან; მხარეთა შეთანხმებით, შემდგომში გაგრძელების შესაძლებლობით
ქვემოიჯარის მიერ ობიექტზე წვდომის თარიღი:	2025 წლის 5 სექტემბერი
ქირა:	ქვეიჯარის ვადის პირველი 6 თვე - 7000 ლარი (არ მოიცავს კომუნალურ და სხვა გადასახადებს) ქვეიჯარის ვადის მეორე 6 თვე - 7500 ლარი (არ მოიცავს კომუნალურ და სხვა გადასახადებს) ქვეიჯარის ვადის მეორე წელი ანუ შემდეგი 12 თვე - 8000 ლარი (არ მოიცავს კომუნალურ და სხვა გადასახადებს)
ქირის გადახდის დაწყება	ორი თვის საიჯარო თანხის წინასწარ ჩარიცხვა ქვემეიჯარის ანგარიშზე, ქვემოიჯარის მიერ ობიექტზე წვდომის თარიღამდე არაუგვიანეს ერთი კალენდარული დღით ადრე (ე.ი.არაუგვიანეს 2025 წლის 5 სექტემბრისა)

საიჯარო ქონებით ნებადართული სარგებლობა:	სტომატოლოგიური კლინიკის მოწყობის მიზნით და არანაირი სხვა გამოყენებით ან მიზნით, თუ მიზანი შეთანხმებული არ იქნება ქვემეიჯარესთან

ქვეიჯარის ხელშეკრულება

წინამდებარე ქვეიჯარის ხელშეკრულება (შემდგომში "**ხელშეკრულება**") დადებულია 25 წლის 4 სექტემბერს თბილისში შემდეგ მხარეებს შორის:

შპს ამიკუს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი: 405458044, წარმოდგენილი **დირექტორების მაია მესხის და ანასტასია მგალობლიშვილის** სახით (შემდგომში „ქვემეიჯარე“),

და

შპს დენტისენს, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საიდენტიფიკაციო ნომერი 416391087, წარმოდგენილი **დირექტორების სალომე ცისკარავას და დავით ჩერქეზიშვილის** სახით (შემდგომში "**ქვემოიჯარე**"),

რომლებიც ერთობლივად მოიხსენიებიან, როგორც "**მხარეები**" და ცალ-ცალე - როგორც "**მხარე**".

1. ზოგადი დებულებები

1.1. წინამდებარე *ხელშეკრულებაში* გამოყენებულ შემდეგ ტერმინსა და გამოთქმას აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) "**სამუშაო დღე**" ნიშნავს დღეს (შაბათისა და კვირის გარდა), რომელიც საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არ არის გამოცხადებული ოფიციალური დასვენების დღედ და რომელზეც საქართველოში მოქმედი ბანკები საქმიან ოპერაციებს ახორციელებენ.

ბ) "**ხელშეკრულების ვადის დასრულების თარიღი**" ნიშნავს *ქვეიჯარის ვადის* ბოლო კალენდარულ დღეს, ე.ი 2027 წლის 4 სექტემბერი;

გ) "**ქვეიჯარის არსებითი პირობები**" ნიშნავს წინამდებარე ხელშეკრულების მხარეებს შორის შეთანხმებულ პირობებს, რომლებიც მოცემულია ხელშეკრულებაში ტექსტს და შეადგენს მის განუყოფელ ნაწილს;

1.2. თუ კონტექსტი სხვაგვარად არ მოითხოვს, წინამდებარე *ხელშეკრულებაში*:

ა) მუხლებისა და დანართების აღწერილობითი სათაურები გამოიყენება მხოლოდ მოხერხებულობისთვის, არ გააჩნიათ იურიდიული ძალა და არ იქნება მიღებული მხედველობაში *ხელშეკრულების* განმარტებისას;

ბ) სიტყვები "ამ *ხელშეკრულების*", "ამ *ხელშეკრულებით*", "ამ *ხელშეკრულებაზე*" და სხვა მსგავსი ფრაზები მიუთითებენ წინამდებარე *ხელშეკრულებაზე* მთლიანად და არა - მის რომელიმე კონკრეტულ დებულებაზე;

გ) დროის ნებისმიერი პერიოდი წინამდებარე *ხელშეკრულებაში* აითვლება პირველი სრული დღიდან მას შემდეგ, რაც დადგება ათვლის დაწყების გამომწვევი მოვლენა და ამგვარი პერიოდის ბოლო დღე ჩაითვლება ამავე პერიოდში.

2. ხელშეკრულების საგანი

2.1. ქვემეიჯარე მიანიჭებს წვდომის უფლებამოსილებას და ქვეიჯარის უფლებით გადასცემს ქვემოიჯარეს, წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, საიჯარო ქონებას, რომელიც მდებარეობს ქ. თბილისში, შემდეგ მისამართზე: გიორგი ბრწყინვალეს 24, პირველი სართული (შემდგომში „ქვეიჯარის ობიექტი").

2.2. ქვეიჯარის ობიექტის მახასიათებლებია: საკადასტრო კოდი: 01 10 06 014/057, მისამართი: ქ.თბილისი, დიდი დიღომი, გიორგი ბრწყინვალეს 24, 1 სართული.

2.3. ქვეიჯარის ობიექტის გამოყენება ქვემეიჯარეს შეუძლია მხოლოდ სტომატოლოგიური კლინიკის დანიშნულებით. ქვემეიჯარე თავად უზრუნველყოფს ყველა საჭირო ლიცენზიის მოპოვებას, რაც კანონმდებლობით დადგენილია სტომატოლოგიური კლინიკის ფუნქციონირებისათვის, და ქვეიჯარის ობიექტის დაზღვევას.

3. ქვეიჯარის ვადა

3.1. ქვეიჯარის ობიექტი ქვემოიჯარეს გადაეცემა 2025 წლის 5 სექტემბრიდან (ხელშეკრულების ძალაში შესვლის თარიღი) 2027 წლის 4 სექტემბრის (ხელშეკრულების ვადის დასრულების თარიღი) ჩათვლით.

3.2. ქვეიჯარის ვადის ათვლა, საიჯარო ქონებით სარგებლობისათვის ქირის (როგორც აღწერილია მე-4 და მე-6 მუხლებში) და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი სხვა საზღაურის გადახდა იწყება, თუ ცალსახად არ არის გაკეთებული სხვაგვარი დათქმა, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, ე.ი. 2025 წლის 5 სექტემბრიდან.

3.3. თუ ქვემოიჯარეს სურს, გააგრძელოს ქვეიჯარის ვადა, მან უნდა შეატყობინოს ქვემეიჯარეს ამგვარი განზრახვის შესახებ წერილობით სულ მცირე 3 (სამი) კალენდარული თვით ადრე ხელშეკრულების ვადის დასრულების თარიღამდე. თუ ხელშეკრულების ვადის დასრულების თარიღამდე სულ მცირე 2 (ორი) კალენდარული თვით ადრე ქვემეიჯარე და ქვემოიჯარე ვერ მიაღწევენ შეთანხმებას ხელშეკრულების ახალ პირობებთან დაკავშირებით, ხელშეკრულება შეწყდება და ქვემოიჯარე ვალდებული იქნება მოახდინოს ქვეიჯარის ობიექტის ქვემეიჯარისთვის დაბრუნება.

4. ქირა

4.1. ქვემოიჯარე ქვემეიჯარეს უხდის ქირას წინამდებარე მუხლში განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

4.1.1. ქირის ოდენობა - განისაზღვრება შემდეგნაირად:

ა) ქვეიჯარის ვადის პირველი 6 თვე - 7000 ლარი (არ მოიცავს კომუნალურ და სხვა გადასახადებს);
ბ) ქვეიჯარის ვადის მეორე 6 თვე - 7500 ლარი (არ მოიცავს კომუნალურ და სხვა გადასახადებს);
გ) ქვეიჯარის ვადის მეორე წელი ანუ შემდეგი 12 თვე - 8000 ლარი (არ მოიცავს კომუნალურ და სხვა გადასახადებს)

4.1.2. ქირის გადახდის დაწყება - პირველი და ბოლო თვის საიჯარო თანხის წინასწარ ჩარიცხვა ქვემეიჯარის ანგარიშზე, ქვემოიჯარის მიერ ობიექტზე წვდომის თარიღამდე არაუგვიანეს წინა დღეს.

4.1.3. საშეღავათო პერიოდი - ქვემოიჯარის მიერ ობიექტზე წვდომის თარიღიდან ორი კვირა, ე.ი. 2025 წლის 19 სექტემბრამდე. შესაბამისად, ქვემოიჯარის მიერ ამ ხელშეკრულების 4.1.3 მუხლით გადახდილი ქირიდან, პირველი თვის ქირა აითვლება 2025 წლის 19 სექტემბრიდან და ჩათვლილი იქნება 2025 წლის 18 ოქტომბრამდე, ხოლო ოქტომბრის დარჩენილი 14 დღის ქირის გადახდა მოხდება არაუგვიანეს 2025 წლის 18 ოქტომბრისა.

4.1.4. ქირის გადახდის წესი - ყოველი მომდევნო ქირა, გაგრძელებული 2025 წლის ნოემბრიდან ხელშეკრულების ვადის დასრულებამდე - გადაიხდება ყოველი თვის 1 რიცხვში ან თუ 1 რიცხვი უქმე დღეა, არაუგვიანეს მისი მომდევნო სამუშაო დღისა.

4.2. ქვემოიჯარე უზრუნველყოფს ქვემეიჯარისათვის ქირის გადახდას შემდეგ საბანკო ანგარიშზე:

მიმღები: შპს ამიკუს
ბანკი: თიბისი ბანკი
ანგ ნომერი: GE23TB7445336080100016

4.3. ქირის დროულად გადაუხდელობის შემთხვევაში, ქვემეიჯარე უფლებამოსილია, საიჯარო ქირის თანხასთან ერთად, მოსთხოვოს ქვემოიჯარეს ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ყოველთვიური საიჯარო ქირის 1%-ის ოდენობის ჯარიმის გადახდა.

5. ქირის ცვლილება

5.1. ქირა არ ექვემდებარება ცვლილებას ხელშეკრულების ვადის განმავლობაში, თუ ლარის მიმართ აშშ დოლარის გაცვლის ოფიციალური კურსი არ გასცდება 3.1-ს. ასეთი გარემოების დადგომის შემთხვევაში,

ქვემეიჯარე აცნობებს ქვემოიჯარეს აღნიშნულის თაობაზე შეცვლილი საიჯარო ქირის ძალაში შესვლამდე 2 თვით ადრე. ქვემოიჯარეს უფლება აქვს დაეთანხმოს ახალ პირობებს, ან უარი თქვას შეცვლილ პირობებზე და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის თაობაზე ქვემოიჯარეს. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ორი თვის გასვლის შემდეგ, ქვეიჯარის ხელშეკრულება დასრულებულად ჩაითვლება და ქვემოიჯარე ვალდებული იქნება დაუბრუნოს ქვემეიჯარეს ქვეიჯარის ობიექტი.

5.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლის შემდგომ, თუკი მხარეებს სურვილი ექნებათ გააგრძელონ ხელშეკრულების ვადა და შეთანხმდებიან ხელშეკრულების ახალ პირობებზე (მათ შორის ქირის ფასზე), მხარეებმა წერილობით უნდა გააფორმონ ხელშეკრულების დამატება.

6. კომუნალური გადასახადები

6.1. ქვემოიჯარე ქვეიჯარის ობიექტის კომუნალურ გადასახადების გადახდას უზრუნველყოფს თავად, ქვეიჯარის ობიექტზე წვდომის თარიღიდან, ე.ი. 2025 წლის 5 სექტემბრიდან. აღნიშნული, შეზღუდვის გარეშე, მოიცავს ელექტროენერგიას, წყალს, გაზს, სატელეფონო და ინტერნეტის საზღაურებს. ქვემოიჯარე ვალდებულია უზრუნველყოს კომუნალური გადასახადების დროული გადახდა, მომსახურების შეწყვეტის თავიდან ასაცილებლად. კომუნალური მომსახურებ(ებ)ის შეწყვეტის შემთხვევაში, ქვემოიჯარე ვალდებული იქნება უზრუნველყოს მომსახურებ(ებ)ის აღდგენა და შესაბამისი ხარჯების გაწევა.

6.2. ხელშეკრულების ვადის პერიოდში. ქვემოიჯარე გასწევს ხარჯს ქვეიჯარის ობიექტის ექსპლუატაციის, მოვლა-პატრონობის, ტექნიკური უზრუნველყოფისა და რემონტისათვის. ქვემოიჯარე თავად გადაიხდის მიერთების / ცვლილების / შიდა სარემონტო თუ გარე სარეკლამო საზღაურსა და ტექნიკური უზრუნველყოფისა და მომსახურების ხარჯებს, რაც საჭირო და დაკავშირებული იქნება მის საქმიანობასთან. ქვემოიჯარე გასწევს ხარჯს თავისი საქმიანობისათვის საჭირო სალიცენზიო, ტექნიკური და სხვა პირობების დაკმაყოფილებისა და შემდგომი ფუნქციონირების უზრუნველყოფისათვის.

6.3. დამატებული ღირებულების გადასახადი

ქვემოიჯარის მიერ ქვე*მეიჯარისათვის* წინამდებარე *ხელშეკრულების* შესაბამისად გადასახდელი ქირა არ მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს (შემდგომში "**დღგ**"), და ქირის ოდენობა გაიზრდება დღგ-ის შესაბამისი ოდენობით იმ დღიდან, როდესაც ქვემეიჯარე გახდება დღგ-ის გადამხდელი. ითვლება, რომ მითითება დღგ-ზე მოიცავს დღგ-ის ნებისმიერ შესწორებულ ვერსიას ან/და ნებისმიერ გადასახადს, რომელიც, ასეთი საკანონმდებლო ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, ჩაანაცვლებს დღგ-ს.

7. ქვემეიჯარის უფლებები და მოვალეობები

7.1. ქვემეიჯარე იღებს ვალდებულებას:

7.1.1. ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, თუ ქვე*მოიჯარე* იხდის ყველა გადასახდელ თანხას და ასრულებს თავის ვალდებულებებს წინამდებარე *ხელშეკრულების* შესაბამისად, უზრუნველყოს ,,ქვემოიჯარის'' მიერ საიჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში;

7.1.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

7.2. ქვემეიჯარე უფლებამოსილია:

7.2.1. შევიდეს ქვეიჯარის ობიექტში ნებისმიერ დროს, რათა: შეამოწმოს ქვეიჯარის ობიექტის და მისი ნებისმიერი სხვა ნაწილის მდგომარეობა; აღმოფხვრას ქვემოიჯარის მიერ წინამდებარე *ხელშეკრულებით* გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა; დაამონტაჟოს ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფა, სისტემა, მექანიზმი ან მოწყობილობა, უსაფრთხოების კამერების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების ჩათვლით, რომელიც საშუალებას მისცემს ქვემეიჯარეს, გააკონტროლოს ქვეიჯარის ობიექტის უსაფრთხოება.

7.2.2. ქვემეიჯარის მიერ შესვლის უფლების განხორციელება მოიცავს ქვემეიჯარის მიერ უფლებამოსილ ნებისმიერ პირს, თანამშრომლების, ამზომველებისა და კონტრაქტორების ჩათვლით. ყველა ამგვარი უფლება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების გარდა, საჭიროებს გონივრული შეტყობინების მიწოდებას.

8. ქვემოიჯარის უფლებები და მოვალეობები

8.1. ქვემოიჯარე ვალდებულია:

8.1.1. გამოიყენოს ქვეიჯარის ობიექტი მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად და არ დაუშვას ქვეიჯარის ობიექტის ფუნქციის შეცვლა ქვემეიჯარესთან შეთანხმების გარეშე;

8.1.2. დროულად და შეთანხმებული ოდენობით გადაიხადოს *ქირა, მომსახურების გადასახადი, კომუნალური გადასახადი* და დღგ, განახორციელოს გადახდები წინამდებარე *ხელშეკრულებისა და კომუნალური გადასახადების* სათანადო თარიღებზე და *ხელშეკრულებაში* განსაზღვრული ფორმით, რაიმე გამოკლების ან გამოქვითვის გარეშე; ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეიჯარის ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში ,ქვემეიჯარე' უფლებამოსილია მოსთხოვოს ,ქვემოიჯარეს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადამოსული დავალიანების 0.5%-ის ოდენობით.

8.1.3. დაემორჩილოს ყველა შესაბამის კანონსა და ყველა სამთავრობო და მუნიციპალური ორგანოს გადაწყვეტილებას. კერძოდ, ქვემოიჯარე მოიპოვებს ყველა ნებართვას, რომელიც აუცილებელია ბიზნესის საწარმოებლად და დააკმაყოფილებს უსაფრთხოების დაცვის ყველა ეროვნულ სტანდარტს. ქვე*მოიჯარე* დაიცავს ყველა რეგულაციას ნარჩენებსა და საფრთხის შემცველ ნარჩენებთან, მათთან მოპყრობასა და მათ მოშორებასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. ქვე*მოიჯარე* პასუხისმგებელია და აუნაზღაურებს ქვე*მეიჯარეს* ყველა შესაძლო ზიანს, დაბინძურებისთვის, რომელიც გამოწვეულ ან დაშვებულ იქნა ქვე*მოიჯარის* მიერ *ქვეიჯარის ობიექტში.*

7.1.1. ნებისმიერ დროს, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში, თუ ქვე*მოიჯარე* იხდის ყველა გადასახდელ თანხას და ასრულებს თავის ვალდებულებებს წინამდებარე *ხელშეკრულების* შესაბამისად, უზრუნველყოს ,,ქვემოიჯარის'' მიერ საიჯარო ობიექტით შეუფერხებელი სარგებლობა და ხელი არ შეუშალოს მას ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების განხორციელებაში;

7.1.2. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები;

7.2. ქვემეიჯარე უფლებამოსილია:

7.2.1. შევიდეს ქვეიჯარის ობიექტში ნებისმიერ დროს, რათა: შეამოწმოს ქვეიჯარის ობიექტის და მისი ნებისმიერი სხვა ნაწილის მდგომარეობა; აღმოფხვრას ქვემოიჯარის მიერ წინამდებარე *ხელშეკრულებით* გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულების დარღვევა; დაამონტაჟოს ნებისმიერი პროგრამული უზრუნველყოფა, სისტემა, მექანიზმი ან მოწყობილობა, უსაფრთხოების კამერების, ხანძარსაწინააღმდეგო სისტემების ჩათვლით, რომელიც საშუალებას მისცემს ქვემეიჯარეს, გააკონტროლოს ქვეიჯარის ობიექტის უსაფრთხოება.

7.2.2. ქვემეიჯარის მიერ შესვლის უფლების განხორციელება მოიცავს ქვემეიჯარის მიერ უფლებამოსილ ნებისმიერ პირს, თანამშრომლების, ამზომველებისა და კონტრაქტორების ჩათვლით. ყველა ამგვარი უფლება, გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევების გარდა, საჭიროებს გონივრული შეტყობინების მიწოდებას.

8. ქვემოიჯარის უფლებები და მოვალეობები

8.1. ქვემოიჯარე ვალდებულია:

8.1.1. გამოიყენოს ქვეიჯარის ობიექტი მხოლოდ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანიშნულების შესაბამისად და არ დაუშვას ქვეიჯარის ობიექტის ფუნქციის შეცვლა ქვემეიჯარესთან შეთანხმების გარეშე;

8.1.2. დროულად და შეთანხმებული ოდენობით გადაიხადოს *ქირა, მომსახურების გადასახადი, კომუნალური გადასახადი* და დღგ, განახორციელოს გადახდები წინამდებარე *ხელშეკრულებისა და კომუნალური გადასახადების* სათანადო თარიღებზე და *ხელშეკრულებაში* განსაზღვრული ფორმით, რაიმე გამოკლების ან გამოქვითვის გარეშე; ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქვეიჯარის ქირის გადახდის დაგვიანების შემთხვევაში ,ქვემეიჯარე' უფლებამოსილია მოსთხოვოს ,ქვემოიჯარეს პირგასამტეხლოს გადახდა ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, ვადამოსული დავალიანების 0.5%-ის ოდენობით.

8.1.3. დაემორჩილოს ყველა შესაბამის კანონსა და ყველა სამთავრობო და მუნიციპალური ორგანოს გადაწყვეტილებას. კერძოდ, ქვემოიჯარე მოიპოვებს ყველა ნებართვას, რომელიც აუცილებელია ბიზნესის საწარმოებლად და დააკმაყოფილებს უსაფრთხოების დაცვის ყველა ეროვნულ სტანდარტს. ქვე*მოიჯარე* დაიცავს ყველა რეგულაციას ნარჩენებსა და საფრთხის შემცველ ნარჩენებთან, მათთან მოპყრობასა და მათ მოშორებასთან დაკავშირებით არსებული საკანონმდებლო მოთხოვნების შესაბამისად. ქვე*მოიჯარე* პასუხისმგებელია და აუნაზღაურებს ქვე*მეიჯარეს* ყველა შესაძლო ზიანს, დაბინძურებისთვის, რომელიც გამოწვეულ ან დაშვებულ იქნა ქვე*მოიჯარის* მიერ *ქვეიჯარის ობიექტში.*

8.1.4. მოუაროს ქვეიჯარის ობიექტს, მკაცრად დაიცვას ხანძარსაწინააღმდეგო და სხვა ტექნიკური უსაფრთხოების წესები, სანიტარული მოთხოვნები, შენობაში არსებული მოწყობილობების და ინვენტარის, აგრეთვე არსებული საიჟინრო კომუნიკაციებისა და ქსელების ექსპლოატაციის წესები.

8.1.5. მიიღოს ყველა აუცილებელი ზომა ქვეიჯარის ობიექტის დაზიანების საფრთხისაგან დასაცავად, ხოლო მისი ბრალით გამოწვეული დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ ქვემეიჯარეს' და მისი მითითების შესაბამისად აღმოფხვრას დაზიანება თავისი ხარჯებით.

8.1.6. ითმინოს ყველა სახის ზემოქმედება, რომელიც ნებადართულია ქვემეიჯარის მიერ და აუცილებელია ქვეიჯარის ობიექტის შესანახად ან/და მისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, ხორციელდება ქვემოიჯარის ინტერესების გათვალისწინებითაც და არსებითად არ აფერხებს მის მიერ ქვეიჯარის ობიექტით' სარგებლობას.

8.1.7. დაუბრკოლებელად შეუშვას ქვემეიჯარე ან მისი წარმომადგენელი ქვეიჯარის ობიექტზე წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესრულების, სანიტარული და ტექნიკური პიროებების კონტროლის და შემოწმების მიზნით.

8.1.8. ქვემეიჯარესთან შეთანხმებით და თავისი ხარჯებით ჩაუტაროს ქვეიჯარის ობიექტს მიმდინარე რეომონტი და გაუმჯობესებანი მისი ნორმალური ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად, ამასთან რემონტის და გაუმჯობესებების ხარჯები მოიჯარეს არ აუნაზღაურდება და არ ჩაეთვლება ქვეიჯარის ქირაში.

8.1.9. ქვემეიჯარესთან შეთანხმების გარეშე არ განახორციელოს ისეთი ქმედებები, რაც გამოიწვევს ქვეიჯარის ობიექტის მნიშვნელოვან ცვლილებას, მათ შორის კაპიტალური რემონტი, მნიშვნელოვანი რეკონსტრუქცია, ფასადის იერსახის შეცვლა და სხვა.

8.1.10. აუნაზღაუროს ქვემეიჯარეს ყოველგვარი ზიანი, რომელიც მიადგება ქვეიჯარის ქონებას ქვემოიჯარის არამართლზომიერი ქმედების შედეგად. ქვემოიჯარე ერთპიროვნულად პასუხისმგებელია ნებისმიერ ზიანზე, რომელიც მიადგება ქვემეიჯარეს ან/და მესამე პირს ქვემოიჯარის ყველა სარემონტო სამუშაოსა და ქვეიჯარის ობიექტში მისი ყველა საქმიანობის შედეგად, ისევე როგორც - მისი კონტრაქტორებისა და თანამშრომლების ყველა მოქმედებისა და უმოქმედობის შედეგად.

8.1.11. ხელშეკრულების მოშლის ან შეწყვეტისას უკან დააბრუნოს ქვეიჯარის ობიექტი იმ მდგომარეობაში, რაც მას გადაცემის მომენტში ჰქონდა, ნორმალური ცვეთის გათვალისწინებით.

8.1.12. დაიცვას წინამდებარე ხელშეკრულების პირობები.

8.1.13. ქვემოიჯარე არ განათავსებს, არ შეღებავს და არ დადგამს რაიმე დაფას (აბრას), სტიკერს ან სხვა სარეკლამო მასალას ქვეიჯარის ობიექტზე, ქვემეიჯარის წინასწარი თანხმობისა და სახელმწიფო სტურუქტურებიდან შესაბამისი ნებართვების მოპოვების გარეშე.

9. რემონტი და რეკონსტრუქცია

9.1. თუ საიჯარო ქონება დაზიანდა ნებისმიერი მოვლენის ან მიზეზის გამო, რომლისთვისაც პასუხისმგებელია ქვემოიჯარე (ან მისი თანამშრომლები, წარმომადგენლები ან კონტრაქტორები),

ქვემოიჯარე სრულად პასუხისმგებელია ქვეიჯარის ობიექტისათვის მიყენებული ზიანის გამო გაწეული ნებისმიერი ხარჯისათვის და ამავდროულად, ქირის გადახდა არ შეწყდება.

10. გადაცემა

10.1. ქვემოიჯარე არ არის უფლებამოსილი სხვას გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები ან ვალდებულებები ქვემეიჯარის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

10.2. ქვემეიჯარე უფლებამოსილია გადასცეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თავისი უფლებები და ვალდებულებები ნებისმიერ მესამე პირს. ქვემეიჯარე ამგვარი გადაცემის შესახებ წერილობით შეატყობინებს ქვემოიჯარეს.

11. ქვეიჯარის შეწყვეტა

11.1. ქვეიჯარის ხელშეკრულება მხარეებს შორის დაუყოვნებლივ შეწყდება მოქმედების დასრულების თარიღზე, თუ მხარეები წერილობით არ გააფორმებენ ხელშეკრულების ვადის გაგრძელებას ან ახალ ხელშეკრულებას.

11.2. ქვემეიჯარე უფლებამოსილია მისი მხრიდან ყოველგვარი დამატებითი ვალდებულებების წარმოშობის გარეშე, ცალმხრივად ვადამდე მოშალოს ხელშეკრულება ქვემოიჯარისათვის შეწყვეტის შესახებ წინასწარი წერილობითი შეტყობინების მიწოდებით 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე (შემდგომში "**შეწყვეტის შეტყობინება**") არსებითი დარღვევების გამო, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება შემდეგით:

11.2.1. ქვემოიჯარე არღვევს *ქირის* გადახდის ვალდებულებას *იჯარის ვადის* 2 (ორი) თვის განმავლობაში ზედიზედ.

11.2.2. ქვემოიჯარე არ ასრულებს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადახდ(ებ)ის ვალდებულებას წინამდებარე *ხელშეკრულების* შესაბამისად, რაც მოიცავს, მაგრამ არ შემოიფარგლება, *მომსახურების გადასახადით* ან *კომუნალური გადასახადით, სახელშეკრულებო ჯარიმასთან* ერთად, და თუ ამგვარი *არსებითი დარღვევა* არ გამოსწორდება *მოიჯარის მიერ მეიჯარისგან* წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 5 (ხუთი) *სამუშაო დღის* ვადაში;

11.2.3. ქვემოიჯარე არღვევს ქვეიჯარის ობიექტის ნებადართული სარგებლობის პირობებს იჯარის ვადის განმავლობაში ჯამში 5 (ხუთი) სამუშაო დღეზე მეტი ვადით.

11.2.4. ქვემოიჯარემ განახორციელა რაიმე ცვლილება ქვეიჯარის ობიექტში ქვემეიჯარის თანხმობის გარეშე, რომლის ნამდვილობისათვის აუცილებელია ქვემეიჯარის წინასწარი თანხმობა ამ ხელშეკრულების შესაბამისად, ან თუ ქვემოიჯარე არღვევს უფლებების გადაცემასა და ქვეიჯარით გაცემასთან, გადაკეთებასთან ან *საიჯარო ქონებით ნებადართული სარგებლობის* შეცვლასთან, ან წინამდებარე *ხელშეკრულების* აკრძალულ უფლებების გადაცემასთან დაკავშირებულ შეზღუდვებს.

11.2.5. თუ ქვემოიჯარე არაერთგზის არღვევს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, რის შესახებაც იგი უკვე იყო გაფრთხილებული წერილობით.

11.2.6. წინამდებარე ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში, ქვემოიჯარე ქვეიჯარის ობიექტს დაცლის და დაუბრუნებს ქვემეიჯარეს შეწყვეტის თარიღიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში (შემდგომში „**გასვლის თარიღი**").

11.3. ქვემოიჯარე უფლებამოსილია, ვადამდე შეწყვიტოს *ხელშეკრულება*, თუ:

11.3.1. ქვემეიჯარე არღვევს თავის არსებით ვალდებულებებს წინამდებარე ხელშეკრულების შესაბამისად და ამგვარი დარღვევა არ გამოსწორდება ქვემეიჯარის მიერ წერილობითი შეტყობინების მიღებიდან 30 (ოცდაათი) სამუშაო დღის ვადაში;

11.3.2. თუ ქვემეიჯარის ბრალეული ქმედებით ქვემოიჯარეს ეზღუდება ქვეიჯარის ობიექტით სარგებლობის უფლება.

11.3.3. ქვემოიჯარე არ არის უფლებამოსილი, ცალმხრივად ვადამდე შეწყვიტოს წინამდებარე ხელშეკრულება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ქვემოიჯარე ვალდებულია სრულად გადაუხადოს ქვემეიჯარეს ქირა ქვეიჯარის მთელი პერიოდისათვის.

11.4. ხელშეკრულების შეწყვეტისას, თუ აღნიშნული ხდება რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების უხეში ან არაერთგზის დარღვევის გამო, დამრღვევმა მხარემ სრულად უნდა აანაზღაუროს ხელშეკრულების მოშლასთან დაკავშირებული ტექნიკური ხარჯები (ოფისის დაცლა, ქვეიჯარის შეწყვეტის რეგისტრაცია და სხვა მსგავსი ხარჯები).

11.5. ხელშეკრულების შეწყვეტიდან 5 (ხუთი) კალენდარული დღის ვადაში, ქვემოიჯარე ვალდებულია გადაიხადოს ამ დღისთვის არსებული ყველა გადასახადი და ქვეიჯარის ქირა, იგი ასევე ვალდებულია დაცალოს-გაათავისუფლოს ქვეიჯარის ობიექტი, რის შემდეგაც ერთ-ერთი მხარის მოთხოვნის შემთხვევაში უნდა გაფორმდეს „ქვეიჯარის ობიექტის" მიღება-ჩაბარების აქტი.

11.6. იმ შემთხვევაში, თუ ქვეიჯარის ხელშეკრულების შეწყვეტის შემდეგ ქვემოიჯარე 5 კალენდარული დღის ვადაში არ დაცლის ქვეიჯარის ობიექტს და არ ჩააბარებს მას ქვემეიჯარეს, ქვემოიჯარეს დაეკისრება ვალდებულება გადაიხადოს ქვეიჯარის ქირის 100%(ასი) ქვეიჯარის ობიექტის ფაქტობრივად ფლობის მთელ პერიოდზე, ამასთან, ქვემეიჯარე უფლებამოსილია აღიდგინოს მფლობელობა ქვეიჯარის ობიექტზე, ხოლო ქვემოიჯარის გაფრთხილებიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში დაცალოს ობიექტი ქვემოიჯარის კუთვნილი ნივთებისაგან.

11.7. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ ქვემოიჯარის მიერ ქვეიჯარის ობიექტით სარგებლობა ფაქტობრივად გაგრძელდა, რისი წინააღმდეგიც არ არის ,ქვემეიჯარე, ხელშეკრულება ყოველ ასეთ ჯერზე გაგრძელებულად ჩაითვლება ერთი თვის ვადით, იმავე პირობებით.

12. საიჯარო ქონების დაბრუნება

12.1. გასვლის თარიღზე ქვემოიჯარე ქვემეიჯარეს დაუბრუნებს ქვეიჯარის ობიექტს, დაცლილს, მისი კუთვნილებისა და სარგებლობისაგან თავისუფალს, გაწმენდილს, ნარჩენებისგან გასუფთავებულს, სამუშაოდ და საექსპლუატაციოდ ვარგის მდგომარეობაში. ქვემოიჯარე უფლებამოსილია, ქვეიჯარის ობიექტიდან წაიღოს მხოლოდ ქვემოიჯარის კუთვნილი მოძრავი ქონება. ქვემოიჯარე სათანადო და

პროფესიონალურ დონეზე გაარემონტებს და აღადგენს ნებისმიერ ზიანს, რომელიც მიადგა ქვეიჯარის ობიექტს ქვემოიჯარის ქონების ამგვარი გატანის შედეგად. შეწყვეტის თარიღის შემდეგ ქვემოიჯარე არ არის უფლებამოსილი დაიკავოს ქვეიჯარის ობიექტი. ქვემეიჯარე არ აუნაზღაურებს ქვემოიჯარეს კუთვნილი რაიმე მოძრავი ქონების ან საიჯარო ქონებაში განხორციელებული სარემონტო სამუშაოების ღირებულებას.

12.2. ქვეიჯარის ობიექტის ყველა გასაღები გადაეცემა ქვემეიჯარეს გასვლის თარიღზე. თუ გასაღებები ამგვარ თარიღზე ქვემეიჯარეს არ გადაეცემა, ქვემეიჯარე უფლებამოსილია, გააღოს ქვეიჯარის ობიექტი და შეცვლოს საიჯარო ქონების გასაღებები ქვემოიჯარის ხარჯზე.

12.3. *გასვლის თარიღზე* ან *გასვლის თარიღის* შემდეგ დღეს შედგება ქვეიჯარის ობიექტიდან გასვლის ოქმი, რომელშიც დეტალურად აღიწერება *ქვეიჯარის ობიექტის* მდგომარეობა *გასვლის თარიღზე*, და მას ხელი მოეწერება ორივე *მხარის* მიერ (შემდგომში "**საიჯარო ქონებიდან გასვლის ოქმი**").

12.3.1. ყოველგვარი ეჭვის გამორიცხვის მიზნით, ქვეიჯარის ობიექტი ქვეიჯარის უფლებით გადაცემულია ქვემოიჯარეზე გასვლის თარიღამდე ვადით. შესაბამისად, ქვემოიჯარე ვალდებულია განახორციელოს წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადახდები.

12.4. თუ ქვე*მოიჯარე* არ გაიტანს თავის საკუთრებას, ქვე*მეიჯარე* უფლებამოსილია, გაიტანოს ამგვარი ქონება სხვაგან ქვემოიჯარის ხარჯით. ქვემეიჯარე არ არის პასუხისმგებელი ზიანისათვის, რომელიც შესაძლოა ამგვარი გატანით ან შენახვით მიადგეს ქვემოიჯარის ქონებას.

12.5. თუ ქვემოიჯარე არ მიიყვანს საიჯარო ქონებას 12.1. მუხლში განსაზღვრულ მდგომარეობაში, ქვემეიჯარე უფლებამოსილია, აღნიშნული თავად განახორციელოს და ამგვარი სამუშაოების ხარჯი დააკისროს ქვემოიჯარეს.

12.6. ქვემოიჯარე შეუქცევადად ანიჭებს უფლებამოსილებას ქვემეიჯარეს, გამორთოს ქვეიჯარის ობიექტში ნებისმიერი დამონტაჟებული გამტარი საშუალებები და კომუნალური მომსახურებები გასვლის თარიღის შემდეგ დღეს, თუ ხელშეკრულება შეწყდება მკაცრად წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

13. შეტყობინებების მიწოდება

13.1. *ხელშეკრულების* შესაბამისად გაკეთებული ყველა შეტყობინება და კომუნიკაცია უნდა განხორციელდეს წერილობითი ფორმით. შეტყობინება ჩაითვლება სათანადო წესით მიწოდებულად, თუ შესრულებულია წერილობით და მიწოდებულია პირადად ან გაგზავნილია სათანადო რეპუტაციის მქონე კურიერის მეშვეობით, დაზღვეული ან შეკვეთილი ფოსტის, ან ელექტრონული ფოსტის მეშვეობით *მხარეების* შემდეგ მისამართებზე:

ქვემეიჯარის შემთხვევაში:
შპს ამიკუსი
ვლადიმერ გაბაშვილის ქ. 7, სართული 5, ბინა 31
ტელ: 577 77 40 30, 577 44 09 90
მიმღები: ანასტასია დავითაშვილი

***მოიჯარის* შემთხვევაში:**
შპს დენტისენს
საქართველო, ქალაქი რუსთავი, შოთა რუსთაველის ქუჩა, N 21, ბინა 28
და საქართველო, თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 24
ტელ: 593 10 81 00
მიმღები: სალომე ცისკარავა

13.2. *მხარეები* დაუყოვნებლივ შეატყობინებენ ერთმანეთს მისამართის რაიმე ცვლილების შესახებ. იმ დრომდე, სანამ არ მოხდება მისამართის ცვლილების შესახებ სათანადო წესით შეტყობინება, წინა მისამართებზე მიწოდებული შეტყობინებები ითვლება მიწოდებულად ჩვეული საქმიანობის ფარგლებში.

14. ქვემეიჯარის პასუხისმგებლობის შეზღუდვა

14.1. ქვემეიჯარეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ნებისმიერ იმ ზიანთან ან დანაკარგთან, რომელიც შესაძლოა მიადგეს ქვემოიჯარეს, მის თანამშრომლებს ან სტუმრებს, ან ქვეიჯარის ობიექტს, რომელიც გამოწვეულია ობიექტის მოსარგებლის რაიმე ქმედებით ან დარღვევით.

14.2. ქვემეიჯარე არ არის პასუხისმგებელი ქვემოიჯარისათვის, ქვემოიჯარის ბიზნესისათვის ან ნებისმიერი სხვა მხარისათვის მიყენებულ რაიმე ზიანზე ხილული და უხილავი ხარვეზების გამო ქვეიჯარის ობიექტში, ან ქვეიჯარის ობიექტის წვდომის შეუძლებლობისთვის, ან გაზის, წყლის, ელექტროენერგიის, გათბობის, ვენტილაციის მიწოდების შეჩერებისათვის, ან ჰაერის მიწოდებაში პრობლემებისათვის, ან რაიმე დამონტაჟებული მოწყობილობის შეფერხებისათვის, ან ხანძრისათვის, აფეთქებისათვის, ან ნებისმიერი სხვა მოვლენისათვის, რაც ხელს უშლის ქვეიჯარის ობიექტის გამოყენებას, ან ნებისმიერი სხვა შეფერხებისათვის რაიმე მომსახურების მიწოდებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამგვარი ზიანი გამოწვეულია ქვემეიჯარის გაუფრთხილებლობით ან განზრახი ქმედებით.

14.3. ქვემეიჯარე პასუხს არ აგებს ქვემოიჯარისათვის მიყენებულ რაიმე ზიანზე ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის გამო.

15. მხარეთა შორის დავა

წინამდებარე *ხელშეკრულებიდან* გამომდინარე ან მასთან დაკავშირებული, მათ შორის - მის სავალდებულო იურიდიულ ძალასთან, ნამდვილობასთან ან შეწყვეტასთან დაკავშირებით, ნებისმიერი დავა, რომელსაც *მხარეები* ვერ გადაჭრიან მოლაპარაკებების გზით, საბოლოოდ გადაწყდება საქართველოს საერთო სასამართლოების მიერ.

16. კონფიდენციალურობა

გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც კანონმდებლობით სავალდებულოა ინფორმაციის მიწოდება შესაბამისი უწყებისათვის, არც ერთი *მხარე* არ გაამჟღავნებს ან გადასცემს ნებისმიერ პირს (გარდა აღნიშნულის ცოდნაზე შესაბამისი უფლებამოსილი პირებისა), ან არ გამოიყენებს რაიმე მიზნით ნებისმიერ

იმ სავაჭრო საიდუმლოებას ან კონფიდენციალურ ცოდნას ან ინფორმაციას, ან ნებისმიერ ფინანსურ ან კომერციულ ინფორმაციას, რომელიც დაკავშირებულია წინამდებარე *ხელშეკრულების* პირობებსა და მეორე *მხარესთან*, და რომელიც *მხარემ* მიიღო ან მოიპოვა წინამდებარე *ხელშეკრულების* დადების შედეგად. *მხარეები* მიიღებენ ყველა გონივრულ ზომას, რათა ხელი შეუშალონ მათთან დაკავშირებულ ყველა პირსა და კომპანიას ამგვარი გამჟღავნების ან გადაცემისგან. წინამდებარე შეზღუდვა გააგრძელებს მოქმედებას წინამდებარე *ხელშეკრულების* ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე შეწყვეტის შემდეგაც, რაიმე დროითი შეზღუდვის გარეშე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა შესაძლოა ინფორმაცია სხვაგვარი წესით გახდეს გახდეს საჯარო, ამგვარად შეზღუდული *მხარის* რაიმე ბრალის გარეშე.

17. ფორს-მაჟორი

17.1. *მხარეები* თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისგან წინამდებარე *ხელშეკრულებით* განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების გამო, თუ ამგვარი შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება გამოწვეულია *ფორს-მაჟორული მოვლენით*. წინამდებარე *ხელშეკრულების* მიზნებისათვის, *ფორს-მაჟორული მოვლენა* წარმოადგენს ნებისმიერ გარემოებას ან მოვლენას, რომელიც არ ექცევა *ქვემოიჯარის* ან *ქვემოიჯარის* კონტროლის ქვეშ და რომლის დადგომაც იწვევს წინამდებარე *ხელშეკრულებით* განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობას. ფორს-მაჟორ შეზღუდვის გარეშე მოიცავს: ომს, ამბოხებას, სამოქალაქო დაუმორჩილებლობას, მიწისძვრას, ხანძარს, აფეთქებას, წყალდიდობას, ქარიშხალს, ეპიდემიას ან სხვა დაუძლეველ შემთხვევებს, რომლებმაც პირდაპირ უშლიან ხელს წინამდებარე *ხელშეკრულებით* გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას. ფორს მაჟორად მხარეები მიიჩნევენ მხოლოდ ისეთ გარემოებებს, რომელთა წინასწარ განსაზღვრა ან თავიდან აცილება აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს და შესაძლებლობებს, და რომლთა წარმოშობასა და განვითარებაზე მხარეებს არ შეუძლიათ ზეგავლენის მოხდენა.

17.2. მხარე, რომელსაც მიზეზად დაუძლეველი ძალის მოვლენები მოჰყავს, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მეორე მხარეს წერილობით ასეთი მოვლენების დადგომის თაობაზე. ამასთან, მეორე მხარის მოთხოვნის შემთხვევაში, უნდა წარმოადგინოს დაუძლეველი ძალის მოვლენების არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი, თუ ის საყოველთაოდ აღიარებული არ არის ასეთად. წინააღმდეგ შემთხვევაში, *მხარე* დაკარგავს უფლებას, მიუთითოს *ფორს-მაჟორულ მოვლენაზე* ან გარემოებაზე როგორც მოვალეობის შეუსრულებლობისა თუ არაჯეროვნად შესრულებისათვის პასუხისმგებლობისგან გათავისუფლების საფუძველზე. თუ ასეთი მოვლენები გაგრძელდა 30 (ოცდაათი) დღეზე მეტი ვადით მხარეები უფლებამოსილნი არიან მოშალონ ხელშეკრულება.

18. სხვადასხვა

18.1. წინამდებარე *ხელშეკრულების* პირობები და დებულებები რეგულირდება და განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

18.2. *ქვემოიჯარე* ადასტურებს, რომ მას ეკისრება სრული პასუხისმგებლობა *ქვეიჯარის ობიექტში* ბიზნესის წარმოების კომერციულ რისკთან დაკავშირებით წინამდებარე *ხელშეკრულების* პირობების შესაბამისად. *ქვემოიჯარე* აცხადებს, რომ მას *ქვემეიჯარისგან* მიღებული აქვს ყველა ინფორმაცია, რაც მიიჩნევა საჭიროდ მის მიერ წინამდებარე *ხელშეკრულების* დასადებად.

18.3. ხელშეკრულება ყველა ვალდებულებით ვრცელდება ორივე მხარესა და მათ უფლებამონაცვლეებზე.

18.4. ნებისმიერი ცვლილება წინამდებარე *ხელშეკრულებასა* და მის დანართებში განხორციელდება წერილობით და შეადგენს წინამდებარე *ხელშეკრულების* განუყოფელ ნაწილს.

18.5. დანართები წარმოადგენს *ხელშეკრულების* განუყოფელ ნაწილს. წინამდებარე *ხელშეკრულებასა* და მის დანართებს შორის რაიმე შეუსაბამობის შემთხვევაში, უპირატესობა მიენიჭება *ხელშეკრულების* დებულებებს, გარდა იმ შემთხვევისა, თუ დანართი ადგენს სპეციალურ რეგულაციას *ხელშეკრულების* დებულებებთან დაკავშირებით.

18.6. თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება დაკარგავს იურიდიულ ძალას ან გახდება არააღსრულებადი ან ბათილი საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, იურიდიული ძალის ამგვარი დაკარგვა, ბათილობა ან არააღსრულებადობა არ მოახდენს გავლენას მთლიანად ხელშეკრულების ან მისი ნებისმიერი სხვა დებულების იურიდიულ ძალაზე. ბათილი ან/და ძალადაკარგული პირობის ნაცვლად მოქმედებს წესი რომლითაც უფრო ადვილად მიიღწევა ამ პირობით დასახული მიზანი.

18.7. წინამდებარე *ხელშეკრულება* წარმოადგენს მთლიან შეთანხმებასა და ურთიერთგაგებას *მხარეებს* შორის და იგი ანაცვლებს *მხარეებს* შორის ყველა სხვა წინარე წერილობით და ზეპირ შეთანხმებასა და ვალდებულებას წინამდებარე *ხელშეკრულების* საგანთან დაკავშირებით.

ქვემეიჯარის სახელით:

მაია მესხი
დირექტორი

ანასტასია მგალობლიშვილი
დირექტორი

ქვემოიჯარის სახელით:

სალომე ცისკარავა
დირექტორი

დავით ჩერქეზიშვილი
დირექტორი

სანოტარო მოქმედების ინდივიდუალური ნომერი

00872350378625

საქართველო



სანოტარო მოქმედების დასახელება

იურიდიული პირის (ასევე, ინდივიდუალური მეწარმის მიერ) მიერ მინდობილობის/რწმუნებულების დადასტურება

სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის ნომერი

N251520285

რეგისტრაციის თარიღი

06.11.2025 წ

ნოტარიუსი: ნათია ჯმუხაძე

მისამართი: ქ. რუსთავი, კლდიაშვილის ქუჩა 4, ბინა 47

ტელეფონი: +995 595 55 05 13

სანოტარო მოქმედებისა და სანოტარო აქტის შესახებ ინფორმაციის (მისი შექმნის, შეცვლის და/ან გაუქმების შესახებ) მიღება–გადამოწმება შეგიძლიათ საქართველოს ნოტარიუსთა პალატის ვებ–გვერდზე: www.notary.ge ასევე შეგიძლიათ დარეკოთ ტელეფონზე: +995(32) 2 66 19 18

საქართველო
სანოტარო აქტი

ქ. რუსთავი, ორი ათას ოცდახუთი წლის **ექვსი ნოემბერი**. მე, ნათია ჯმუხაძეს, ნოტარიუსს, ჩემს სანოტარო ბიუროში, რომელიც მდებარეობს მისამართზე: ქ. რუსთავი, კლდიაშვილის ქუჩა 4, ბინა 47, მომმართა **სალომე ცისკარავამ** (დაბადებული: 18.09.1988 წელს, პირადი № 35001094965, მისამართი: ქალაქი რუსთავი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 7ა, ბინა 55), რომელმაც განაცხადა, რომ არის **შპს „დენტისენსის“** (ს/კ: 416391087) დირექტორი თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B25125581, 04/09/2025 10:10:23). მან მოითხოვა მინდობილობის შედგენა და მისი სანოტარო წესით დადასტურება. მე შევამოწმე მისი პირადობა მის მიერ წარმოდგენილი ბიომეტრიული პასპორტით 16BA18190 და დავრწმუნდი, რომ ნამდვილად **სალომე ცისკარავამ** მომმართა. მე შევამოწმე მოქალაქის ქმედუნარიანობა და ვადასტურებ, რომ მის ქმედუნარიანობაში ეჭვის შეტანის საფუძველი არ მქონია. მე დავრწმუნდი მისი ნების გამოვლენის ნამდვილობაში, შევამოწმე უფლებამოსილება თანახმად ამონაწერისა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან, რომელიც თან ერთვის სანოტარო აქტს, **სალომე ცისკარავა უფლებამოსილია შპს წარმოადგინოს ერთპიროვნულად,** ასევე შევამოწმე სადამფუძნებლო შეთანხმება, სადაც მითითებულია რომ **შპს „დენტისენსის“** (ს/კ: 416391087) წესდებას წარმოადგენს საქართველოს იუსტიციის მინისტრის მიერ დამტკიცებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სტანდარტული წესდება. შემდეგ „მიმნდობს“ ჩემს მიერ განემარტა მინდობილობის შინაარსი და სამართლებრივი შედეგები, რის შემდეგაც მან ჩემი თანდასწრებით პირადად მოაწერა ხელიწინამდებარე მინდობილობას.

რწმუნებულება/მინდობილობა

მე, **სალომე ცისკარავა**, როგორც **შპს „დენტისენსის“** (ს/კ: 416391087) დირექტორი - **ლევანი ცისკარავას** (დაბადებული: 28.03.1994 წელს, პ/ნ: 35001115881, მცხოვრები: ქალაქი რუსთავი, ზაქარია ფალიაშვილის ქუჩა, N 7ა, ბინა 42) – „მინდობილ პირს“ ვანიჭებ შემდეგ უფლებამოსილებას: იყოს **შპს „დენტისენსის“** (ს/კ: 416391087) წარმომადგენელი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში, მის სამსახურებში (მათ შორის: ურბანული დაგეგმარების სამსახურში, ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურში, ზედამხედველობის სამსახურში, არქიტექტურის სამსახურში, იურიდიულ სამსახურში, გარემოს დაცვის სამსახურში, მუნიციპალურ ინსპექციაში და სხვ.) და ტერიტორიულ ორგანოებში, საკრებულოში, გამგეობაში, უზრუნველყოს **შპს „დენტისენსის“** (ს/კ: 416391087) საკუთრებაში ან/და სარგებლობაში არსებულ ნებისმიერ უძრავ ქონებაზე, მათ შორის და არამარტო შემდეგ უძრავ ქონებაზე: მდებარე ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალეს 24, პირველი სართული, საკადასტრო კოდი: 01.10.06.014.057 (თანახმად ქვეიჯარის ხელშეკრულებისა, შპს „ამიკუსსა“ და შპს „დენტისენსს“ შორის) არსებულ, რეკლამის განთავსების თაობაზე ნებართვის აღება, რისთვისაც უფლებამოსილია დაწეროს შესაბამისი განცხადება ან/და თანხმობა, წარადგინოს საჭირო დოკუმენტაცია, მიანიჭოს ნომერი, ატვირთოს ელექტრონული ვერსია, დაარეგისტრიროს და გაგზავნოს დოკუმენტები ელექტრონულად, გადაიხადოს კანონით დადგენილი გადასახადები, აწარმოოს მოლაპარაკებები, ხარვეზის არსებობის შემთხვევაში შეასწოროს ნებისმიერი ხარვეზი და ჩააბაროს დოკუმენტაცია ხელახლა, უზრუნველყოს გაკეთებული სარეკლამო ბანერის საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება, მიიღოს ნებართვა, ხელი მოაწეროს საჭირო დოკუმენტაციას, ისარგებლოს დირექტორის სრულუფლებიანი წარმომადგენლის უფლებამოსილებით და შეასრულოს ნებისმიერი მოქმედება ამ მინდობილობით მინიჭებული უფლებამოსილების განსახორციელებლად.

მინდობილობა გაცემულია ერთი წლის ვადით.

წინამდებარე მინდობილობა წავუკითხე ნოტარიუსმა ნათია ჯმუხაძემ მიმნდობს, მიმნდობმა მოიწონა მინდობილობა და ჩემი თანდასწრებით მან პირადად მოაწერა ხელი, რასაც ვადასტურებ. მინდობილობა შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე 3

(სამი) იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ერთი ინახება ნოტარიუს ნათია ჯმუხაძის სანოტარო ბიუროს არქივში და მას თან ერთვის:

შპს „დენტისენსის“ (ს/კ: 416391087) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი: B25125581, 04/09/2025 10:10:23.

დანარჩენი ეგზემპლარები გადაეცა მინდობილობის გამცემს. გადახდილია სანოტარო მომსახურების საზღაური 35 (ოცდათხუთმეტი) ლარი, აქედან: 30 (ოცდაათი) ლარი „სანოტარო მოქმედებათა შესრულებისათვის საზღაურისა და საქართველოს ნოტარიუსთა პალატისათვის დადგენილი საფასურის ოდენობების, მათი გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ 2011 წლის 29 დეკემბრის საქართველოს მთავრობის N507-ე დადგენილების 31-ე მუხლის მე-8 პუნქტის თანახმად, და რეგისტრაციის საფასური 5 (ხუთი) ლარი (ამავე დადგენილების 39-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად).

შპს „დენტისენსის“ (ს/კ: 416391087) დირექტორი

სალომე ცისკარავა _____

ნოტარიუსი _____ **/ნათია ჯმუხაძე/**

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.06.014.057.01.02.001**

ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

განცხადების რეგისტრაცია **მომზადების თარიღი**

N 892025314679 - 09/11/2025 23:44:54 **10/11/2025 11:58:51**

საკუთრების განყოფილება

ზონა	სექტორი	კვარტალი	ნაკვეთი	კოდი
თბილისი საბურთალო				
01	**10**	**06**	**014/057**	**01/02/001**

მისამართი: ქალაქი თბილისი, გიორგი ბრწყინვალის ქუჩა, N 24

ნაკვეთის საკუთრების ტიპი: **თანასაკუთრება**
ნაკვეთის ფუნქცია: **არასასოფლო სამეურნეო**
დაზუსტებული ფართობი:**1245.00** კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
შენობა-ნაგებობები: **შენობა N1(მშენებარე),საერთო ფართობი 5205.88კვ.მ. მათ შორის: საცხოვრებელი ფართობი 3247.49კვ.მ. კომერციული ფართობი 484.84კვ.მ. საზაფხულო ფართობი 430.22კვ.მ. კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი 262.64კვ.მ. ავტოსადგომის ფართობი 780.69კვ.მ.**

მესაკუთრეები

განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882016180281 , **თარიღი 24/03/2016 14:43:11**
უფლების რეგისტრაცია: თარიღი 25/03/2016

უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:

- შპს "მშენებელი"-ს (404899801) დირექტორის გადაწყვეტილება , დამოწმების თარიღი:24/03/2016 , საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

მესაკუთრეები:
შპს "მშენებელი" , ID ნომერი:404899801

მესაკუთრე:	საკუთრების ტიპი:	საკუთრება:	ფართი:	წილი:
შპს "მშენებელი"	საკუთრება	**კომერციული ფართი N1**(მშენებარე)	**სართული1,** 235.50 კვ.მ.	

იპოთეკა

საგადასახადო გირავნობა:

- საგადასახადო გირავნობა/იპოთეკა:**102021584554 29/12/2021 10:40:39**
  შ\პ\ს შპს მშენებელი ს/ნ 404899801
  საგანი: **მთელი ქონება, მთელი ქონება**
  საფუძველი: **შეტყობინება N00663289 29.12.2021, შემოსავლების სამსახური;**

სარგებლობა

განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882023655247 თარიღი 27/06/2023 11:15:42

მოიჯარე: **შპს "ჰერა"** 405091350;
საგანი:კომერციული ფართი N1(მშენებარე) სართული1, 235.50 კვ.მ. ;
საბოლოო თარიღი:01/02/2025;

იჯარის ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი27/06/2023, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/07/2023

ვალდებულება

ყადაღა/აკრძალვა:

რეგისტრირებული არ არის

მოვალეთა რეესტრი:

რეგისტრირებული არ არის

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge